სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

29.08.2016 ბრძანება # 155

თბილისი

სწავლის საფასურის გადახდის წესის
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებს (გარდა პირველკურსელი, აგრეთვე, მობილობის წესით (გარე მობილობა) ჩარიცხული და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისა) მიეცეთ უფლება სწავლის საფასური გადაიხადონ ოთხ ეტაპად, შემდეგი პერიოდულობით: სწავლის საფასურის მინიმუმ ¼ - მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაწყებამდე, ¼ - მიმდინარე სასწავლო წლის 01 დეკემბრამდე, ¼ - მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე, ¼ - მიმდინარე სასწავლო წლის 01 ივნისამდე.
2. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის პირველკურსელ, აგრეთვე, მობილობის წესით (გარე მობილობა) ჩარიცხული და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ სტუდენტებს მიეცეთ უფლება სწავლის საფასური გადაიხადონ ორ ეტაპად, შემდეგი პერიოდულობით: სწავლის საფასურის მინიმუმ ½ - მიმდინარე სასწავლო წლის ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ½ - მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე.
3. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და გამოქვეყნდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელონ სტუ-ს ფაკულტეტების მენეჯერებმა.
5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*